საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება №25

2021 წლის 23 დეკემბერი

ქ.თბილისი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 29-ით დამტკიცებული „სასამართლო მედიაციის პროგრამის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორი ვალდებულია ყოველწლიურად 1 საქმეზე სასამართლო მედიაცია ანაზღაურების გარეშე (Pro Bono) წარმართოს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი — **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**